



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 405

2017 წლის 25 აპრილი

ქ.ლაგოდები

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 86 მუხლისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/1395 ბრძანების „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. განხორციელებულ იქნას ცვლილება სამოქალაქო მრჩეველთა სამჭოს (შემდგომში - საბჭოს) შემადგენლობაში, კერძოდ, საბჭოს მოსახლეობის წარმომადგენლის სტატუსით დაემატოს ორი წევრი:

- ა) მარი მეტრეველი - ქ.ლაგოდების მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე;
- ბ) მარიამ ცერცვაძე - ქ.ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე.

საფუძველი: მარი მეტრეველისა და მარიამ ცერცვაძის განცხადებები

მუხლი 2. საბჭო ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

- 2.1. გელა თედევი - არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ლელის“ წარმომადგენელი;
- 2.2. მინდია დუმბაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი „ჰერეთის“ წარმომადგენელი;
- 2.3. თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ (საგა) გამგეობის თავმჯდომარე;
- 2.4. დავით ლომიძე - მეწარმე სუბიექტი შ.პ.ს. „კავკასიონის“ დირექტორი;
- 2.5. ლევანი ბარბაქაძე - მეწარმე სუბიექტი შ.პ.ს „ლებას“ დირექტორი;
- 2.6. ვალდემერ სეირანოვი - მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდემერ სეირანოვი (ქ.ლაგოდებში სასურსათო მაღაზია „ვადოს“ მფლობელი);
- 2.7. მარიამ ქადაგიძე - მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ.ლაგოდებში „საოჯახო სასტუმრო კვიის სახლის“ მფლობელი);
- 2.8. ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი);
- 2.9. მარინა პეიტრიშვილი - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი);
- 2.10. ლინა გაგიევა - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი)
- 2.11. გივი შუბითიძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი)
- 2.12. მარი მეტრეველი - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდების მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე);
- 2.13. მარიამ ცერცვაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე);

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს გამგებლის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 4. საბჭომ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 ნოემბრის N1300 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად;

მუხლი 5. საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგებობის იურიდიული სამსახური;

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია